




რამაზ შენგელია 50
იუბილე 4



დაგეგმილი გამარჯვება

მანუჩარ მარკოიშვილის დღიური 11



ირაკლი ბერიანის ანთონი ბაკურიანის 16



საქმიანობა ალკმაარში პირველად ივარჯიშა

გუშინ პოლანდიური "ალკმაარის" ფორმა პირველად მოიხილეს პოლანდიაში სინჯებზე ჩასულმა ლევან ცქიტიშვილმა - მან გუნდთან ერთად ივარჯიშა. როგორც "ალკმაარის" ოფიციალური საიტი იტყობინება, ცქიტიშვილის სავარაუდო ტრანსფერში დიდი როლი მიუძღვის მის თანამემამულე შოთა არველძეს, რომელმაც ქართველი ნახევარმცველით ლუის ვან გაალი დააინტერესა. ვან გაალი პირადად აკვირდება 30 წლის ქართველს, რომელსაც ნაკრებში 40-მდე მატჩი დაუგროვდა. შეგახსენებთ, რომ ლევანი ბერძნული "პანინოსის" წევრია, თუმცა, ნაკრებში კარგი თამაშის მიუხედავად, კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

ძლიერი ქარის გამო "ალკმაარის" წლის პირველი ვარჯიში დარბაზში გაიმართა. მასში სხვებთან ერთად ორივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა. ამასობაში "ალკმაარმა" კონტრაქტები გაუფორმა 18 წლის ფინელ ტალანტ იოონა ტოივიოს და ახალგაზრდული კლუბის წევრ ტონი კოლემანენს. ცქიტიშვილის სინჯები 17 იანვრამდე გაგრძელდება.

ნიკოლოზ ნაჭარიძე

გუშინ ალკმაარში, ლევან ცქიტიშვილის პირველი ვარჯიში

ფიგურული ციგურაობა

ელენე ევროპის ჩემპიონატს არ გამოეყოფება

გადაწყდა, რომ ელენე გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატზე (ვარშავაში, 21 იანვრიდან) იასპარეზებს. პოლონეთში მისი გამგზავრება სათუო იყო, რადგან მთელი ორთვენახევარი გაუცდა რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებით გამოწვეული პრობლემების გამო. ბოლოს, გედევანიშვილი ახალ მწვრთნელთან, ცნობილ უკრაინელ სპეციალისტ გალინა ზმიევსკაიასთან ამერიკაში გაემგზავრა მოსამზადებლად, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

გუშინ, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჯაფარიძემ გვაცნობა, რომ ტელეფონით ესაუბრა ქალბატონ გალინას, რომელსაც უთქვამს, რომ ელენემ სპორტული ფორმა აღიდგინა და ფსიქოლოგიურადაც მზადაა ევროპის ჩემპიონატზე საასპარეზოდ.

დანარჩენს პირველობა გვიჩვენებს.



გოგუა პართსი, ვინ იყვის სიპართლეს?

მერაბ მამულაშვილი

ჩვენს მიერ მოპოვებული და სხვადასხვა წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად გოგუა გოგუას ტრანსფერზე მოლაპარაკება შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "პართსის" ხელმძღვანელობასთან მიმდინარეობს. გვითხრეს ისიც, რომ გოგუა ვიზას ელოდება, შოტლანდიაში მალე გაემგზავრება და სკოტების ვიცე-ჩემპიონებთან ნახევარწლიან

საიჯარო ხელშეკრულებას გაააფორმებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები-სა და ნალჩიკის "სპარტაკის" ნახევარმცველის შესაძლო ტრანსფერს რამდენიმე კლუბს უკავშირებდნენ და არც ერთი მათგანი რეალობას მოკლებული არ იყო: მოსკოვის "ლოკომოტივი", ყაზანის "რუბინი", თურქული "გალათასარაი" და "ტრანზონი". გაიუფერა შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონი "პართსის" სახელმაც.

მისამ ბეირლზი

ტრანსჟარი

გოგუა პარტისში, ვინ იზჟვის სიპარტლას?

პირველი გვერდიდან

გოგუა გოგუას ბედი კარგა ხნის მანძილზე გაურკვეველი რჩებოდა. მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მოსკოვის "ლოკომოტივთან" მოლაპარაკება შეწყდა. მოთამაშის აგენტები, ახრიც ცეცხლა და მამუკა ჯუღელი სხვადასხვა ვარიანტებს ასახელებდნენ, მაგრამ არაფერს აკონკრეტებდნენ.

ეს ბუნებრივია და გვესმის, სანამ ვითარება გაირკვევა, ფეხბურთელიც, მენეჯერიც და დაინტერესებული კლუბიც მოლაპარაკების ფაქტს მალავს, თუმცა, დასამალი რა არის?

"პარტისის" პრეზიდენტს, ლიტვის მოქალაქე ვლადიმერ რომანოვს გუშინ ვესაუბრეთ, თუმცა, მან კონკრეტული არაფერი გვითხრა.

- ახლა ვისვინებ და გოგუაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

- ძნელი წარმოსადგენია, ასეთი ტრანსფერი უთქვენოდ წყდებოდეს.

- რატომ, ასეც ხდება ხოლმე. მწვრთნელს ფეხბურთელები გასასინჯად ჩემს დაუკითხავადაც ჩამოჰყავს.

ჟ - გოგუა გასასინჯად არ უნდა ჩამოდიოდეს.

- ხომ გითხარით, ახლა ვისვინებ და საქმის კურსში არ ვარ.

არ ვიცით, ტრანსფერული გამოთქვა - რესპოდენტმა ინფორმაცია არც დაადასტურა და არც უარყო - ამ შემთხვევას რამდენად შეეფერება, მაგრამ ასე კი გამოვიდა.

თუმცა, მოდით საინტერესო მოვლენები გავიხსენოთ. ერთი თვის წინ რომანოვმა გოგუასადმი ინტერესი დაადასტურა, მაგრამ მამუკა გოგუას რუსეთში დარჩენაში იმდენად დამაჯერებლად ჩანდა, "პარტისი" სათვალავში არავინ ჩააგდო.

ახლა უმთავრესზე: "პარტისი" მწვრთნელი ლიტვის ნაკრებისა და "კაუნასის" ყოფილი თავკაცი ვალდას ივანუსკასია. მან გოგუა პირველად 2005 წელს მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე იხილა, როდესაც გოგუა "თბილისის" ლირსებას იცავდა. მაშინ საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფში "კაუნასთან" 0:1 დამარცხდა. ივანუსკასი ჯერ "პარტისის" კონსულტანტად დაინიშნა, შემდეგ კი - მთავარ მწვრთნელად. სწორედ იმ დროს ჩვენს გაზეთთან განაცხადა, რომ გოგუას აყვანა ჯერ კიდევ "კაუნასის" მწვრთნელობის დროს სურდა. მან ქართველი ნახევარმცველის თაობაზე დეტალური სტატისტიკის მინოდებაც გვთხოვა.

"ლელოს" სანდო წყარომ აცნობა,


რომ გოგუა ამჟამად ბრიტანეთის სამეფოს ვიზის მოლოდინშია. დღე-ღამე შოტლანდიაში გაემგზავრება და "პარტისში" ნახევარი წლით ითამაშებს.

თავად ფეხბურთელი ყოველგვარ კომენტარზე თავს იკავებს. თუმცა, მოლაპარაკების რეალობა ისეთმა პიროვნებებმა დაგვიდასტურეს, შეუძლებელია არ ვენდოთ.

ცოტა დამაბნეველი ისაა, რომ გოგუას მენეჯერი მამუკა ჯუღელი ამჟამად შოტლანდიის ნაცვლად, თურქეთში იმყოფება.

გუშინ გოგუამ კიდევ ერთხელ ითამაშა რუსეთის "ოლიმპი" და შორეული დარტყმით ბოლნისის სიონს" შესანიშნავი გოლიც გაუტანა.

არ დავმაღავთ, გოგუა რუსეთისთვის არ გვემეტებოდა. რა თქმა უნდა, რუსეთის კლუბებს შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონი ფინანსურად ვერ აჯობებს, სლავების პირველობის დონეც ბოლო დროს ძალიან გაიზარდა, მაგრამ სქოთურიდან ინგლისის პრემიერლიგამდე ერთი ნაბიჯია. ეს კი ქართველ ტალანტს გაცილებით მაღალ დონეზე აღიარებისკენ გაუხსნის გზას.



ჯარი

პირველი ზანსი

ანთალოურ შეკრებაზე მყოფი "ამერი" მზადებას გვეგმის მიხედვით განაგრძობს. როგორც კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდიდან შეიტყვეთ, გუშინ ამერელები ქალაქის მთავარ სტადიონზე სრული შემადგენლობით იყვნენ, სადაც "ეფეს პილსენის" თასის ფინალურ მატჩს დაესწრნენ, რომელშიც ერთმანეთს ბრემენის "ვერდერი" და როტერდამის "ფეინორდი" შეხვდნენ.

გაირკვა გლდანელთა პირველი მეტოქის ვინაობაც. ხვალ ისინი საკონტროლო შეხვედრაში თურქეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის ბინადარ "ოქსფორს" დაუპირისპირდებიან. გიორგი ჩხრაძის სურვილია, რომ პირველ თურქულ შეკრებაზე მისი შეგირდები შედარებით სუსტ გუნდებს შეხვდნენ. ასე რომ, "ამერი" მომდევნო მონინალმდეგეებიც, დაახლოებით ანალოგიური კლასისანი იქნებიან. შედარებით ძლიერ მეტოქეებს კი საქართველოს თასის მფლობელები მეორე ანთალოურ შეკრებაზე გაეჯიბრებიან. საინტერესოა, რომ "ოქსფორის" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხინიანიშვილის ბლექბერნელი თანაგუნდელის, თუგაი ქერიმოლუს ძმაა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ამერი" ამ გუნდს იმ სტადიონზე ეთამაშება, სადაც შარშან ავსტრიული "შტურმი" 4:1 გაანადგურა.

შეგახსენებთ, "ამერის" შემადგენლობაში ბულგარეთმოვლილი მცველი ლადო კაკაშვილი ვარჯიშობს და დიდია იმის შანსი, რომ კარიერა იქვე გააგრძელოს.


ვიტ ჯორჯია

ყველაფერი მალე გაირკვევა

სხვაბთან ერთად, სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისს "ვიტ ჯორჯიაც" შეუდგა. დავით დილმელაშვილის "დინამოში" გადასვლის შემდეგ, ვეტერინართა ბანაკიდან კონკრეტული სატრანსფერო სიახლეები ნაკლებად ისმის. გუნდის მთავარი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე პოტენციურ ახალწვეულებს აკვირდება და გუნდის მომავალი სახის შესახებ უფრო ნათელ წარმოდგენას უახლოეს დღეებში შეიქმნის. სავარაუდოდ, თვის ბოლოსთვის წამსვლელთა და მომსვლელთა სრული სიაც გვეცოდინება. "ვიტ ჯორჯია" საკონტროლო მატჩების ჩატარებას დაახლოებით ერთ კვირაში დაიწყებს.

რაც შეეხება ვეტერინარებში დაბრუნებულ ახალგაზრდა ფორვარდ ფარნაოზ კუსრაშვილს, იგი მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ბუნებრივია, მუმლაძე მის გარჯასაც ადევნებს თვალს.

ლევან ჯანაშვილი



ნესტორ მუმლაძე

ვილორსვა

საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაცია, პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადების დღეს ულოცავენ ვეტერან ფეხბურთელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რამაზ მინგაშვილს.

საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნაგაშვილს.

შეხვედრა

www.kazbegi.com

გრიგორი ივანოვის ღირსება

"არსენის" ოფიციალური წარმომადგენლები უწყებთან, რომ ზღვრულად გრიგორი ივანოვი...

პირველი თებერვალში დაბრუნდება

რომარ პირველი თებერვალში განახლებს. გასულ ზაფხულს ფრანგი ნახევარმცველი...

ლუის გარსიამ სეზონი დაასრულა

"ლივერპულს" ნამყვანმა ნახევარმცველმა ლუის გარსიამ სეზონი დაასრულა. "არსენალთან"...

რას აპირებს კოკო?

ფრანკისკო კოკო "ინტერის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებს. 29 წლის მცველს...

ნილტონ სანტოსი საავადმყოფოში

ბრაზილური ფეხბურთის ლეგენდა ნილტონ სანტოსი საავადმყოფოში მოათავსეს. 81 წლის ვეტერანს...

ხედავთ: ისევ რასიზმი

ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დასაბუთებულად აჩვენეს, რომ რასიზმი...

ლიოგო და ფაბიანო სამაგალითოდ დასაჯეს

ლიუგო ფაბიანოსა და კარლოს ლიოგოს "ლა რომარედანზე" გამართული მუშაობის...

ვილა: ბელაგიუს, რაიგ-ფილიპისი

"ასტონ ვილა" კრეიგ ბელაგიუს ტრანსფერზე მუშაობს. ბირმინგემელთა თავკაც მარტინ...

ახალი თაველანის გლადბახში

მიუნხენის გლადბახის "ბორუსიამ" დანიური "მიდტილანდიდან" თავდასხმული მიკელ...

სრნიჩაი ნიუკასლში რჩება

პაველ სრნიჩაი "ნიუკასლში" სეზონის ბოლომდე დარჩება. 38 წლის მეკარე "სენტ ჯეიმსზე"...



მიხაელ ბალაკი და ული ჰიონესი

შობა არ იყო გასაკვირია ის, რომ ბოლო დროს არაერთ-გზის გაკრიტიკებულ მიხაელ ბალაკს...

ლევირკუზენი ფიოლარი და სკიბა კონტრაქტს აბრძობები

რული ფიოლარი "ლევირკუზენის" სპორტული დირექტორის პოსტზე რჩება. "ფარმაცევტების" პრეზიდენტის...

ბერბანელი ბერბანელისთვის პიონესმა ბალაკის აღვოქაბოვა იქისრა

ული: ყველაფერი ჩილსის ბრალი!

უფიქრით მოთამაშეების სტილზე ან იმაზე, თუ რა გზით უნდა მომხდარიყო...

ულის აზრით, "ჩელსის" პრობლემა ის არის, რომ ბალაკი და ფრენკ ლემპარდი...



პოლცპოიზერი, სკიბა და ფიოლარი

და, რომ სკიბე "ბაიერში" კიდევ ორი წელი დარჩება. შეგახსენებთ, რომ სკიბე...



არსენ ვენგერი

არსენალი. ახალი აგზები ვენგერის ახალი კონტრაქტი

ლორენი ესპანელაგზა მოიკითხეს

"არსენალი" არსენ ვენგერს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. 57 წლის სპეციალისტს...

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია "არსენალიდან". ლონდონელთა მარჯვენა მცველ ლორენს...

მოსალოდნელი ტრანსფერი რაპი რონალდოს ნახვლად?

რიიკაბარდს მანჩესტერელი პარსკვლავი არ სჭირდება

"მანჩესტერ იუნაიტედი" ბარსელონელი ჩავი ერნანდესი მოიკითხა. "მიორის" ცნობით...



კრისტიანო რონალდო



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგინებთ

ეროვნული გიგანტობა

რეაქტი

ინტერვიუ დავით ჩავლეიშვილთან

მეკო ვნახეთ, მოგაგებული აქვს...

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელები დავით ჩავლეიშვილი და მალხაზ ჭეიშვილი თვეზე მეტია, საფრანგეთში, ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "კლერმონში" იმყოფებიან სტაჟირებაზე. გუნდის ზელანდიელ მწვრთნელ ვერნ კოტერთან თანამშრომლობის გარდა ბორჯღალოსანთა თავაკაცები ბევრს მოგზაურობენ და სხვადასხვა კლუბში მოთამაშე ქართველ მორაგბეებს აკვირდებიან.

- ამ მოქალაქე დროში რაც აქ ვართ, საკმაოდ ბევრი თამაშის ხილვა მოვასწარით - გვიამბობს დავით ჩავლეიშვილი - "მონტობანის", "ფიჟაკის", "ოპისა" და "ტულონის" შეხვედრებს დავესწარით. ამ უქმეებზე "ბეზიეს" თამაშსაც ვნახავთ. გარკვეული მონახაზი ვარჯიშებისა და თამაშის ორგანიზებაზე უკვე შემუშავებული გვაქვს, თუმცა დეტალურად ამის თაობაზე, ალბათ, რუმინეთში 3 თებერვალს გამართული მატჩის შემდეგ ვისაუბრებთ.

- "ფიჟაკში" სამი ქართველი თამაშობს. მათგან ერთ-ერთი მერაბ კვიციანი კაპიტანი ახლახან რანგით უფრო მაღალი დონის გუნდში გადავიდა, თანაც ჩვენი ნაკრებისთვის საკმაოდ საჭირო ათი ნომრის პოზიციაზე თამაშობს. მისი ნახვა თუ მოასწარით?

- დიახ, ის შეხვედრა, რომელიც ჩვენ ვნახეთ, მისთვის ბოლო იყო "ფიჟაკის" შემადგენლობაში. ამის მერე მერაბი მეორე დივიზიონის "პოში" გადავიდა. საკმაოდ მომატებული აქვს - ყოველ შემ-



სამუელი: ჩავლეიშვილი, ჭეიშვილი, ნარიშკაშვილი

თხვევაში, იმ გუნდში მკვეთრად გამოირჩეოდა ყველასაგან. ფიზიკურადაც მოლონიერებელია. მეკოს კიდევ ერთხელ ვნახავთ საქმეში. კარგი იქნება, თუ 10 ნომრის პოზიციაზე რაც შეიძლება მეტს ითამაშებს.

- ამ დღეებში ნაკრების მესამე მწვრთნელი პაატა ნარიშკაშვილიც უნდა უნდა გამოგზავრებულიყო კლერმონში...

- პაატა ჯერ არ ჩამოსულა. შეიძლება, ვერც მოხერხდეს მისი საფრანგეთში ჩამოსვლა და პირდაპირ რუმინეთში შემოგვიერთდეს.

- რამდენად ნაყოფიერია ზელანდიელ მწვრთნელთან თანამშრომლობა?

- ძალიან კარგი, შეიძლება ითქვას, დროულიც კი იყო ამ სტაჟირების მოწყობა. "კლერმონის" ვარჯიშებს რეგულარულად ვესწრებით. კოტერთან ერთად ჩვენი ნაკრების თამაშებიც გავარჩიეთ და მისი კლუბისაც. ჩვენთვის ეს ყველაფერი ძალიან სასარგებლოა.

- სარუმინეთოდ რაში უკვე შეგულებული გეყოლებათ?

- დიახ, ცხადია, თუმცა ბიჭებს თავიანთ კლუბებში კიდევ რამდენიმე მატჩი აქვთ და გამოირიცხული არაა, ვინმე ტრავმის გამო მოვისაკლისოთ. ისე, დღეისთვის უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუმინელებთან მამუკა გორგოძე და გოდერძი შველიძე დაგვაკლებიან.

ბესიკ ჯანაშვილი

ტიპი

ქალთა ნაკრები

პოსტრიის ნაცვლად ბოლნისის ინტერნაციონალი



გოგონები ბოლნისში გააგრძელებენ მზადებას

ზუსტად ერთ კვირაში 16-წლამდელ ძიუდოსტ გოგონათა 12-კაციანი ჯგუფი კიევში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირში საჭიდაოდ. ამ ასაკის სპორტსმენებს წლეულს ორი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება ელით - ევროპის ჩემპიონატი და ევროპის ბავშვთა ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი. ნაკრების თავაკაცთა ძირითადი საზრუნავიც იმ ტურნირებისთვის კანდიდატების შერჩევა და უკრაინული ტურნირი ამ გზაზე პირველი ეტაპია. გუნდის ხელმძღვანელობა შემადგენლობას მოგვიანებით დაასახელებს.

ამასობაში ქალთა ძირითადი ნაკრები ამ უმნიშვნელოვანესი სეზონისთვის ბოლნისში, თავის კომფორტულ ბაზაზე ემზადება, თუმცა არასასურველი კორექტივებით - სავიზო პრობლემების გამო ნაკრები ავსტრიულ შეკრებაზე ვერ მიდის. მიზეზთა გამო, საბუთები კიევში უნდა გამზადებულიყო, დოკუმენტებიც დროულად გაიგზავნა, მაგრამ საბოლოოდ მაინც უარით გამოისტუმრეს. არადა, ავსტრიაში ერთობლივ ვარჯიშებზე ჩასვლას ევროპის ლამის ყველა ქვეყანა აპირებდა (ყოველ შემთხვევაში, წამყვანი გუნდები - ნამდვილად), ძლიერი შეკრებაც გამოვიდოდა და ჩვენებსაც ძალზე ნაადგებოდათ. ახლა ისინი ისევ ბოლნისისა და მეზობლების იმედად დარჩნენ - შეკრებას მალე აზერბაიჯანელები შეურთდებიან, ბოლო ეტაპზე კი, რამდენიმე დღით სომხებიც ჩამოვლენ.

ალსანიშნავია, რომ ბოლნისი კავკასიის გამაერთიანებლად დეკემბერშიც იქცა, როცა შეკრებაზე აზერბაიჯანელები და სომხებიც ჩამოვიდნენ. მაშინ მათი ერთად ვარჯიში თუ ცხოვრება ცოტა შიშსაც იწვევდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა ძალზე მშვიდ, მე-

გობრულ ვითარებაში ჩაიარა. ნასვლისას თურმე სტუმრებს გულიც დაწყდათ ერთმანეთთან განმორებაზე.

სხვა მხრივ ქალთა გემები უცვლელია - 27-28 იანვარს, ზუსტად თბილისის საერთაშორისო ტურნირის პარალელურად, ისინი სოფიაში მსოფლიოს თასზე იჭიდავებენ. ნაკრების თავაკაცმა გოდერძი ველიჯანაშვილმა უკვე დაასახელა იქ ნასაყვანი შემადგენლობა: მაია ტარუაშვილი და ანა ავაქიანი (52), დუსკა ქერიმოვა და მარიამ ოქრიაშვილი (57), ანა ძაძამია და თინათინ ქულოსაშვილი (63), ენძელა სოლოლაშვილი (70), ლია გვიანიძე (78), ირინა ლეონიძე და მარიამ ჩაღუნელი (მძიმე).

ნაკრები სოფიიდან დაბრუნების შემდეგ ისევ ბოლნისში გააგრძელებს შეკრებას, 24-25 თებერვალს კი ჰამბურგის სუპერთასზე იჭიდავებს. ამის შემდეგ გუნდი ჩეხეთში გადაინაცვლებს ერთობლივ შეკრებაზე...

ირაკლი თაყაიძე

ნიკოლოზ ნაჭარიძე



ვახტანგ ხოსიტაშვილი (ზემოდან) თბილისის ტურნირს გამოტოვებს

თბილისის მსოფლიო თასი პაპინაშვილი ხოსიტაშვილის ნაცვლად

ხველ, ვაკეში, ძიუდოს ცენტრალურ დარბაზში ვაფთა ეროვნული ნაკრები თბილისის მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად შეკრებას იწყებს. შოთა ხაბარელის განკარგულებაში 35 სპორტსმენია, მათ შორის ის ოცდარვა (4-4 კაცი თითო წონაში), ვინც 27-28 თებერვალს სპორტის სასახლეში მსოფლიო თასზე უნდა იჭიდაოს. ოღონდ ამ სიაში, რომელიც „ლელომ“ უკვე შემოგთავაზათ, ერთი ცვლილებაა - 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა ვახტანგ ხოსიტაშვილმა ვარჯიშზე ნეკი იტკინა და ხაბარელმა მის ნაცვლად ბრინჯაოსმედალოსან ამირან პაპინაშვილს უხმო. სხვა ყველა ჯანმრთელადაა.



MVP: ბრძოლა დაიწყო



სტივ ნეშო

რაც კალათბურთს აჩვენებს და ფლეი ოფში გასვლა არენისთვის ღირსეული საჩუქარი იქნება.

ამ სეზონში გერმანელი დირკ ნოვიციკის ("დალასი") მთავარი ნაკლი - არასტაბილურობაა. არც ისე შთაბეჭდილად ითვლება კარგ თამაშად, სხვა კალათბურთელებისთვის შეიძლება ცხოვრების საუკეთესო მატჩი იყოს, საკუთარი სათამაშო კლასის დემონსტრირების ნათელ მაგალითებს ენაცვლება.

ნოვიციკი წინა სეზონში დასრულია და მასთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა. ესენი იყვნენ ფავორიტები, მდევართა ჯგუფს კი, სათავეში "ლეიკერსის" შეუდარებელი მცველი კობი ბრაიანტი უდგას.

ის წელს საკუთარი კარიერის სტატისტიკურ მონაცემებს ვენებს, რადგან უჩვეულოდ დასრულდა სეზონი. თუმცა, ამ სიტუაციაშიც კი, კობი ბრაიანტი მორის იმყოფება და საშუალოდ მატჩში 28.3 ქულას აგროვებს.

ლებრონ ჯეიმსი ("კლივლენდი") საკუთარი ვარსკვლავური სტატუსის მიხედვით იქცა. ახალგაზრდა კალათბურთელი მოედანზე დაახლოებით 40 წუთს ატარებს და 26.6 ქულას, 6.7 მოხსნასა და 6.1 შედეგიან გადაცემას იძიებს, მაგრამ თუ პარტიციპირებისგან სათანადო მხარდაჭერას ვერ გრძნობს, მარტოს უჭირს მეტოქეებთან გამკლავება.

ეს კი, MVP-ს ტიტულის მიპოვების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს. გასული წლის ფანტასტიკური სეზონისა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ, დუეინ უეიდი ("მაიამი") ისეთი შთაბეჭდილებები ვერ არის, ყოველ შემთხვევაში, ვერაფერია. ამის მიზეზი სახეზეა: გაუთავებელი ტრავმები კალათბურთელს სრული ძალით თამაშის საშუალებას არ აძლევს.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რეგულარული ჩემპიონატი ეკვატორს მიუახლოვდა და უკვე შეიძლება სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის პრიზის მაძიებელთა დასახელება.

რა თქმა უნდა, აპრილის შუა რიცხვებამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ იმისთვის, რომ რომელიმე ისეთმა მოთამაშემ, ვინც დღეს ვერ ბრწყინავს, MVP-ს ტიტულზე პრეტენზია განაცხადოს, დიდი საკალათბურთო სასწრაულოს ჩადენა მოუწევს.

ასე რომ, ახლა იმ კალათბურთელებზე ვისაუბროთ, რომლებსაც საპატიო პრიზის მიღების ყველაზე დიდი შანსები აქვთ. ამ ნომინაციაში სავარაუდოდ გამარჯვებულები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს - ფავორიტებად და

მდევრებად. აქვე ვიტყვი, რომ ამ კატეგორიაში ლიდერთა შეჩერება მხოლოდ ტრავმებს თუ შეუძლია.

ფავორიტთა შორის პირველ ადგილზე ფინიქსელი სტივ ნეშოა. "სანსი" მისი როლის შეფასება ძალზე რთულია, ხოლო სტატისტიკური მონაცემები მხოლოდ ადასტურებს ვიზუალურ შთაბეჭდილებას - კანადელი გამოთამაშებელი მორიგ ბრწყინვალე სეზონს ატარებს. საშუალოდ მატჩში 20.1 ქულა და 11 შედეგიანი გადაცემა - მართლაც, რომ შთაბეჭდილებები შედეგია. საეჭვოა, რომ რეგულარული სეზონის ბოლოს, ნეშო მხოლოდ MVP-ის პრიზი იკმაროს. ის და მისი "ფინიქსი" მომნიშვნელოვნად იმისთვის, რომ ფლეი ოფში საჩემპიონო ბეჭდებისთვის იბრძოლოს.

წლებიდან სეზონში შეუდარებელია გილბერტ არენასი ("ვაშინგტონი"). ყველა პრეტენდენტს შორის, ის ყველაზე ეფექტურად გამოიყურება და საშუალოდ მატჩში 30.6 ქულას აგროვებს. მისი გუნდი კი, ძალიან სანახაობ-

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Atlanta Hawks (77:96) and New Orleans Hornets (77:96).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Detroit Pistons (96:103) and Philadelphia 76ers (96:103).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Minnesota Timberwolves (91:92) and Phoenix Suns (91:92).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Boston Celtics (84:97) and Dallas Mavericks (84:97).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Los Angeles Lakers (76:91) and Memphis Grizzlies (76:91).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Cleveland Cavaliers (106:99) and Chicago Bulls (106:99).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes San Antonio Spurs (99:74) and Utah Jazz (99:74).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Portland Trail Blazers (102:77) and Sacramento Kings (102:77).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Houston Rockets (103:107) and Miami Heat (103:107).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Indiana Pacers (83:92) and New York Knicks (83:92).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Milwaukee Bucks (77:90) and Washington Wizards (77:90).

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes Phoenix Suns (113:103) and Dallas Mavericks (113:103).

რალი-რალი

ლისაზონი-დაკარი 2007

Table with 2 columns: Model Name and Price. Lists various car models like Saab 9-5, Volvo S80, etc., with their prices in GEL.

მატიკანის ოფიციალურმა გამოცემა Osservatore Romano-მ მკაცრად გააკრიტიკა ლეგენდარული "დაკარის" რალი და ამ როლას "სისხლიანი და უპასუხისმგებლო" უწოდა.

ფორულა 1

ბაჰრეინი გააკლავს ყილკაშს

"მაკლარენის" პრესსამსახური იტყობინება, რომ კომპანია, რომლის მფლობელიც ბაჰრეინის სამეფო გახლავთ, მზად არის ბრიტანული გუნდის აქციათა 30 პროცენტი შეიყიდოს.

ახალი რენოს პირველი კლიმატკაბი

გერმანიის კონსტრუქტორთა თასის მფლობელმა "რენომ" ახალი ბოლიდის - R27-ის პირველი გამოცემა ჩაატარა.

რედ ბულმა პრეზენტაცია დაიწყო

მასპობში, "რედ ბულმა" თავისი ახალი მანქანის პრეზენტაციის თარიღი დაასახელა.

პილენი ლე მანუა გამოვა

რომში სააგენტო "როიტერი" იტყობინება, ფორმულა 1-ის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, კანადელი ჟაკ ვილნევი 16-17 ივნისს, ლეგენდარულ "ლე მანის" 24-საათიან რალიში მიიღებს მონაწილეობას.

